

ზაზა მეჭიაური | Zaza Mechiauri

პოლიტიკის დოკუმენტი
POLICY DOCUMENT

თეატრის ხელმისაწვდომობის გაზრდა
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
პირებისთვის



INCREASING THE ACCESSIBILITY
TO THEATERS FOR PERSONS
WITH DISABILITIES



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES



პოლიტიკის დოკუმენტი
POLICY DOCUMENT

ზაზა მეჭიაური | Zaza Mechiauri

**თეატრის ხელმისაწვდომობის გაზრდა
შეზღუდული შესაძლებლობების
მქონე პირებისთვის**

**INCREASING THE ACCESSIBILITY
TO THEATERS FOR PERSONS
WITH DISABILITIES**



პროექტი ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით
The project is funded by the Swedish International Development Cooperation Agency (Sida)

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი შეიქმნა პროექტის – „საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული შესაძლებლობების ზრდა გადაწყვეტილების მიღებასა და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკაში“ – ფარგლებში.

The Policy Document was developed within the Capacity-Building of the Georgian Leadership Community in Decision-Making and Negotiation Skills (CBGL) project



პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებული ფოტოები ეკუთვნის ბრიტანეთის საბჭოს და იბეჭდება ბრიტანეთის საბჭოს ნებართვით. ფოტოებზე აღბეჭდილია **ქეთი ზაზანაშვილის „თბილისის ინკლუზიური საცეკვაო დასისა“ და ბრიტანული ქორეოგრაფიული კომპანია „ქენდუკოს“ საგანმანათლებლო პროგრამების ეპიზოდები.**

*The photos depict the assistance given to persons with disabilities by the British Council for their integration in the field of art. They are reprinted here with the permission of the British Council. The photos depict episodes from **Keti Zazanashvili's education programs, Tbilisi Inclusive Dance Ensemble, and the British choreographic company, Candoco.***

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი 2018 წელი

All rights reserved and belong to Georgian Foundation for Strategic and International Studies. No part of this publication may be reproduced in any form, including electronic and mechanical, without the prior written permission of the publisher.

Copyright © 2018 Georgian Foundation for Strategic and International Studies

I სარჩევი

წინასიტყვაობა	4
რეზიუმე	5
შესავალი	6
პრობლემის აღწერა	9
პრობლემის გადაჭრის გზები (ალტერნატივები)	15
რეკომენდაციები	19
დასკვნა	20
ბიბლიოგრაფია	21

I TABLE OF CONTENT

Foreword	4
Summary	23
Introduction	24
Description Of The Problem	26
Ways For Resolving The Problem (Alternatives)	30
Recommendations	33
Conclusion	34
Bibliography	35

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი „თეატრის ხელმისაწვდომობის გაზრდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის“ მომზადდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში მიმდინარე პროექტის – „საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული შესაძლებლობების ზრდა გადაწყვეტილებების მიღებასა და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკაში“ – ფარგლებში, როგორც საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი, და გამოქვეყნდა პუბლიკაციაში „საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები 2018“. ნაშრომის თემის აქტუალობამ და წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებმა დიდი ინტერესი გამოიწვია შესაბამის უწყებებსა და საზოგადოებაში და ამდენად გადავწყვიტეთ ამ დოკუმენტის ცალკე პუბლიკაციადა გამოქვეყნება.

თემაზე მუშაობის შესაძლებლობებისა და გაწეული დახმარებისათვის გვინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვუხატოთ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (რონდელის ფონდის) პრეზიდენტს, ეკატერინე შერეველს, ასევე თემის ხელმძღვანელს, რონდელის ფონდის მკვლევარს, მერაბ კაკულიას, პროექტის კოორდინატორს, ხატია შალამბერიძეს და ფონდის ყველა თანამშრომელს.

ასევე დიდ მადლობას მოვასხენებთ ამ გამოცემისთვის საგანგებოდ შექმნილი ორიგინალური ფოლიანტების ავტორს, მხატვარ ქეთი მატაბელს.

კვლევის პროცესში გაწეული თანადგომისა და მოწოდებული ფოტოებისთვის უღრმეს მადლობას მოვასხენებთ ბრიტანეთის საბჭოს დირექტორს სამხრეთ კავკასიაში, ბატონ ზაზა ფურცელაძეს და ხელოვნების პროგრამების ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია დარჩიას.

ზაზა მეჩიაური

FOREWORD

This paper, entitled Increasing the Accessibility to Theaters for Persons with Disabilities, was prepared as a policy paper within the Georgian Foundation for Strategic and International Studies' Increasing the Professional Skills of Georgian Public Servants in Decision-Making and Negotiation Techniques project and was published within the Public Policy Papers 2018 series. The importance of the topic of this paper and the ways for resolving the problems which were identified created a high level of interest among respective institutions as well as the public. For this reason, we are releasing this paper as a separate publication.

We would like to express special gratitude to the President of the Georgian Foundation for Strategic and International Studies (Rondeli Foundation), Ekaterine Metreveli, for providing the opportunities to work on this topic as well as for her help. We would also like to thank our supervisor, Rondeli Foundation Research Fellow, Merab Kakulia, and the Project Coordinator, Khatia Shalamberidze, together with all the employees of the Foundation.

We also wish to thank Ketii Matabeli for the original folios produced especially for this publication.

Our deepest gratitude also goes to the Director of the British Council in the South Caucasus, Zaza Pirtseladze, and the Leader of the Arts Programs, Maia Darchia, for assistance and photos.

Zaza Mechiauri

I რეზიუმე

ცივილიზებული მსოფლიო აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორობას საკუთარი უფლებების დაცვისა და რეალიზების საკითხში. განსაკუთრებით აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი ჩართულობა კულტურის, შემეცნების, შემოქმედების, გართობის, დასვენების სფეროებში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, მათი დაცვისა და აღსრულების პირობები, უფლებების დარღვევის საპასუხო ქმედებები განსაზღვრულია საერთაშორისო და ეროვნულ რეგულაციებში, რომლებიც განმტკიცებულია კონვენციებში, პაქტებში, კანონებში, კანონქვემდებარე აქტებსა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებში.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია ის პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება, როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს არასაკმარისი წვდომა აქვთ თეატრის სივრცეზე: თეატრში შესასვლელსა და გამოსასვლელზე, შენობის შიგნით გადაადგილებაზე, აუცილებელი საჭიროების სეგმენტებში მომსახურების მიღებაზე, მათთვის განკუთვნილი სერვისების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის ფლობაზე; მოცემულია ინფრასტრუქტურის ადაპტირების ძირითადი მოთხოვნები.

დოკუმენტში მიმოხილულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის ძირითადი დებულებები და ამ სფეროში საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ნორმები. მოცემულია ჩვენს ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზი. იდენტიფიცირებულია პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ინფრასტრუქტურის შეუსაბამობის, ისე მათ მიმართ საზოგადოების არასწორი დამოკიდებულების თვალსაზრისით. პრობლემათა შორისაა ინკლუზიური სათეატრო ხელოვნების დეფიციტი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თეატრში დასაქმება როგორც შემოქმედებით, ისე ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პოზიციებზე; პრაქტიკულად შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თეატრში სამუშაოდ საჭირო განათლების მიღება; თეატრის პერსონალი მოუმზადებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან სწორი კომუნიკაციისა და მათთვის შესაბამისი მომსახურების განწესათვის.

წარმოდგენილია საერთაშორისო სტანდარტებთან სინქრონიზაციის საუკეთესო გამოცდილება დიდ ბრიტანეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

განხილული და შეფასებულია პრობლემის გადაჭრის გზები (ალტერნატივები). განხილული 3 ალტერნატივიდან, მულტიფაქტორული მატრიცის შედეგებზე დაყრდნობითა და რეალობის ობიექტური ანალიზით, უპი-

რატესობა მიენიჭა | ალტერნატივას – თეატრის შიდა სივრცის ინფრასტრუქტურის არასრული ცვლილების შესაძლებლობის პირობებში თეატრის შენობის მაქსიმალურად მორგებას ეტლით მოსარგებლეებისთვის. ამ ალტერნატივის წარმატებით განსახორციელებლად წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, კერძოდ კი, მოძრაობის შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის თეატრის სივრცეზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ფინანსური, ადამიანური და დროის რესურსების ოპტიმიზაციის პირობებში.

I შესავალი

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2006 წლის 13 დეკემბერს მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, რომელსაც ხელი მოაწერა 140-მა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ (საქართველოში ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს), აღიარებს, რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად ფიზიკური ან სხვა სახის შეზღუდვისა, უნდა ჰქონდეს თავისუფლად გადაადგილების და ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობის თანაბარი უფლება.

კონვენციის 30-ე მუხლი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და რეკრეაციულ ღონისძიებებში მონაწილეობის საკითხს. ამ მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კულტურის სფეროში ჩართულობა და ხელმისაწვდომობა: სატელევიზიო პროგრამების, ფილმების, თეატრისა და სხვა კულტურულ აქტივობათა ხელმისაწვდომი ფორმატი, კულტურის დაწერებულებების (თეატრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა და სხვა.

ამისათვის 2011 წელს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ISO – International Standardization Organization) შეიმუშავა შენობების მისაწვდომობისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელი ნორმები და სტანდარტები. შიდა სტანდარტებიდან გამოიყოფა ნებისმიერი შეზღუდვის მქონე პირზე გათვლილი პუნქტები:

- შესასვლელები და საევაკუაციო გასასვლელები;
- გზის გასაკვლევად და საორიენტაციოდ სპეციალური ნიშნები და მითითებები;

- ეტლით მოსარგებლეთა თავისუფალი მანევრირებისთვის საჭირო და საკმარისი სივრცე;შესაბამისი კიბეები და მოაჯირები;
- პანდუსები, ლიფტები, ესკალატორები, მოძრავი ბილიკები;
- ადაპტირებული საპირფარეშოები, საშხაპეები, გამოსაცვლელი ოთახები;
- შესაბამისად აღჭურვილი ჰოლები, მისაღები, მოსაცდელი და საინფორმაციო კუთხეები და ა.შ.

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948 წ.) მიხედვით (მუხლი №27), „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით“.

დიდ ბრიტანეთში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება გაერთიანებული სამეფოს 1995 წლის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დისკრიმინაციის შესახებ აქტით“, 2010 წლის „თანასწორობის შესახებ აქტით“ და სხვა ეროვნული აქტებით. ამ კანონისა და გაეროს კონვენციის შესრულების მონიტორინგის განსახორციელებლად დიდ ბრიტანეთში შექმნილია გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებელი ორგანო (the United Kingdom Independent Mechanism (UKIM)). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პირობების პერიოდული გაუმჯობესების მიუხედავად, ისინი კვლავ აწყდებიან სირთულეებს სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, როგორცაა საყოფაცხოვრებო პირობები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სხვა. ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებაში, მათ შორის, თეატრებსა და მუზეუმებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განსაკუთრებული გარემოა: ეტლით მოსარგებლე პირი თეატრში შემოსვლისთანავე მიმართავს იქ მომუშავე პერსონალს, რომელიც აცილებს მას და უწევს დახმარებას. დამონტაჟებულია სპეციალური ლიფტები, პანდუსები, მბრუნავი კარები. პარტერის რიგების პირველი და მეორე ადგილები განკუთვნილია ეტლით მოსარგებლე პირთათვის, ხოლო მათ გვერდით ადგილები კი – თანმხლებთათვის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გათვალისწინებულია საპირფარეშოები, სასადილოები, შესაძლებელია მათთვის საჭმლის ან სასმელის ადგილზე მიტანაც. პენობაში დაშვებულია აგრეთვე გამყოლი ძაღლის შეშვება, რომლისთვისაც ცალკე ადგილია განკუთვნილი. მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების კულტურის სფეროში ჩართულობის საკითხი დიდ ბრიტანეთში მოგვარებულია.

გერმანიაში გაეროს კონვენციის ეფექტური განხორციელებისათვის ძირითად ორგანოდ განისაზღვრა გერმანიის შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტრო. ქვეყნის ფედერალური მოწყობიდან გამომდინარე, ამ დარგში განსაკუთრებული როლი გერმანიის მინებს (ლანდებს) ეკისრებათ. ზოგიერთმა მათგანმა ადგილობრივ დონეზე სპეციალური კოორდინატორები დანიშნა. კონვენციის განხორციელების მონიტორინგი დაევალა გერმანიის ადამიანის უფლებების ინსტიტუტს (German Institute for Human Rights).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სივრცითი მოწყობისა და უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფის საკითხებს ძირითადად არეგულირებს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანასწორობის შესახებ“ (Law on Equality of Persons with Disabilities (Disability Equality Act-BGG)).



ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ნებისმიერ პირს შეუძლია დამოუკიდებლად იმოძრაოს არა მხოლოდ კულტურულ დაწესებულებებში, არამედ იმოგზაუროს მთელი ქვეყნის მასშტაბითაც. 2017 წელს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ კომისიისთვის წარდგენილი ანგარიშის თანახმად, ქვეყნის უმთავრეს პრობლემას მაინც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების საკითხი წარმოადგენს და ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

I პრობლემის აღწერა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინფრასტრუქტურით შეუფერხებლად სარგებლობისათვის სათანადო პირობების შექმნა საქართველოში სავალდებულოა 2001 წლიდან: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისას, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების უზრუნველყოფა კულტურულ-სანახაობით დაწესებულებებსა და სპორტულ ნაგებობებში.

2014 წლის 6 იანვრის საქართველოს მთავრობის №41 დადგენილებით დამტკიცდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი.

2014 წლის 20 იანვარს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, სპორტული, სარეკრეაციო და ტურისტული ობიექტების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

2015 წელს საქართველოს რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შევიდა პუნქტი – ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე მორგებული გარემოს შექმნა.

საქართველოს კანონში „კულტურის შესახებ“, კერძოდ, მუხლში 4. – კულტურული მოღვაწეობის პრინციპები (ე ქვეპუნქტი: კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელმისაწვდომობა და საჯაროობის შეუზღუდველობა); მუხლში 8. – შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება, ყოველ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება, თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად; მუხლში 11. – კულტურული ფასეულობებით სარგებლობის უფლება. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეზიაროს კულტურულ ფასეულობებს, ისარგებლოს სახელმწიფო ბიბლიოთეკების, მუზეუმების, არქივების ფონდებით, კულტურული მოღვაწეობის სხვა შესაბამისი მასალებით კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 1 ივლისს დაამტკიცა მაშინ ჯერ კიდევ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული

„კულტურის სტრატეგია 2025“. მის მეორე სტრატეგიულ მიმართულებაში – „კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება“ – განსაზღვრულია: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შეღავათების მექანიზმების შემუშავება კულტურის სპეციალობებზე სწავლისას; კულტურის დაწესებულებების მხარდაჭერა და ნახალისება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შეღავათიანი პირობების (ბილეთის დაბალი ფასი, თავისუფალი შესვლა, ღია კარის დღე და სხვ.) შეთავაზებისა და მათი დასაქმების მიზნით; კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის; კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამშრომელთა მომზადება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან სწორი კომუნიკაციისთვის; კულტურის დაწესებულებების აღჭურვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული სასწავლო მასალებით (აუდიონიგენები, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები; სურდოთარგმანის, სუბტიტრების და ციფრული აპლიკაციების გამოყენება და ა.შ.); შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობის ხელშეწყობა პროფესიულ სახელოვნებო განათლებაში.

კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურისა და ადაპტირებული საშუალებების ნაკლები ხელმისაწვდომობის გამო საქართველოში მრავალი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია მოკლებული შესაძლებლობას დაეწნროს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას, მიიღოს ინფორმაცია, ჩაერთოს სხვადასხვა კულტურულ აქტივობაში.



ხშირ შემთხვევაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ შენობა-ნაგებობებს აქვთ სპეციფიკური თავისებურებები, რაც ხელს უშლის მათ მორგებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე, როგორცაა საკანონმდებლო შეზღუდვები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე სამუშაოების განხორციელებისას, ძველი და ამორტიზებული შენობების რეაბილიტაციის პროცესის სიძვირე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სპეციალურ საჭიროებებზე მოსარგები ფართობების სიმწირე.



საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არასწორი დამოკიდებულება. ხშირად მათ აღიქვამენ ავადმყოფებად. ჯერ კიდევ სუსტია მათი სოციალური სტატუსი. ამკარაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობის დეფიციტი, როგორც გადაწყვეტილებების მიღების, ისე მათი განხორციელების დონეზე. რისი შედეგაცაა, ერთი შეხედვით, ადაპტირებული, მაგრამ მაინც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პრაქტიკულად გამოუსადეგარი მოწყობილობები და ინფრასტრუქტურის სეგმენტები (მაგალითად: პანდუსები, ვინრო კარები თუ ტუალეტები და კიბეები არაადაპტირებულ ფერებში და სხვა).

სახეზეა ინკლუზიური ხელოვნების დეფიციტი.

თეატრში ვერ საქმდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, მუსიკოსი, გამნათებელი, დეკორატორი, ბუტაფორისტი, ადმინისტრაციის მუშაკი. უკეთეს შემთხვევაში, მათ ეძლევათ მხოლოდ არაკვალიფიცირებული სამუშაოს მიღების შესაძლებლობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა ხშირად არაფერი იციან იმ სერვისების შესახებაც კი, რაც არსებობს თეატრებში (მაგალითად, რუსთაველის თეატრში მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ბენუარის ლოჟების შესახებ, ხოლო მარჯანიშვილის თეატრში, საჭიროების შემთხვევაში, შესასვლელში პანდუსის მიდგმის შესაძლებლობის შესახებ.). ამის გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბევრი ადამიანი თავს არიდებს თეატრში სიარულს.

თეატრებში არსებული ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებსა და ტექნიკურ რეგლამენტს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილებისათვის. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ეტაპობრივად ახორციელებს შენობათა რეაბილიტაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინფრასტრუქტურის ადაპტირების მიზნით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 86



ორგანიზაციის შენობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებთან მთლიანად ან ნაწილობრივ ადაპტირებულია 20 (მხოლოდ პანდუსებით – 12, პანდუსებითა და სველი წერტილებით – 8).

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემის თეატრებისა და საკონცერტო/თეატრალური დარბაზების მქონე ზოგიერთი დაწესებულების რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი თანხები, სადაც გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ადაპტირების ხარჯებიც. უკვე დასრულებული სამუშაოების შემთხვევებში (კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრსა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში), დახარჯული თანხები განკუთვნილი იყო მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელმისაწვდომობისთვის:

	დაწესებულების დასახელება	უკვე დასრულებული სამუშაოების ღირებულება, ლარი	დაგეგმილი სამუშაოების ღირებულება, ლარი
1	სსიპ ქ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახ. დრამატული თეატრი		50000
2	სსიპ გ. მიქელაძის სახ. თბილისის თოჯინების თეატრი		70000
3	სსიპ ქ. თბილისის ვასო აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი		10000
4	სსიპ ქ. თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახ. დრამატული თეატრი	7000	
5	სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი	3400	
6	სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახ. სომხური დრამატული თეატრი		150000

7	სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახ. თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელი		80000
8	სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი		170000
	სულ	10400	530000

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თეატრების შენობების ნაწილობრივი ადაპტირების მიზნით 2019 წელს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს განსაზღვრული აქვს 2 მილიონი ლარი.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთი ჯგუფისთვის – მოძრაობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის (პირები, რომელთაც უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, ან გადაადგილდებიან ეტლით, ან არიან მწოლიარე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები) – თეატრის ხელმისაწვდომობის გაზრდის გზების წარმოჩენა.



პრობლემის გადაჭრის გზები (ალტერნატივები)

დასახელებული პრობლემის გადასაჭრელად განვიხილეთ სამი გზა, ანუ ალტერნატივა:

I ალტერნატივა – თეატრის შიდა სივრცის ინფრასტრუქტურის არასრული ცვლილების შესაძლებლობის პირობებში თეატრის შენობის მაქსიმალურად ადაპტირება ეტლით მოსარგებლეებისთვის. ეს გულისხმობს თეატრის შესასვლელის ადაპტირებას; სანიტარიული კვანძების რეკონსტრუქციას ეტლით მოსარგებლეებისთვის განსაზღვრული სტანდარტებით; თეატრის სხვა სივრცეების შეძლებისდაგვარად მისადაგებას ეტლით მოსარგებლეებისთვის.

ამ ალტერნატივას აქვს მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები: გაიზრდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თეატრის ხელმისაწვდომობა; თეატრის თანამშრომლებს ექნებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან სწორი ურთიერთობის უნარი; თეატრის შემოქმედებითი პროდუქცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიენოდებათ ალტერნატიული გზით – კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით; გაიზრდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირება თეატრში მათთვის მისადაგებული სერვისების შესახებ; თეატრის ხელმისაწვდომობისთვის განეული დანახარჯები ოპტიმალურია და გაცილებით ნაკლებია, ვიდრე II ალტერნატივის შემთხვევაში; ასევე მცირეა განხორციელების ვადაც და მოიცავს 1-დან 2 წლამდე პერიოდს.

ალტერნატივის უარყოფითი მხარეებია: სრულფასოვნად ვერ ხერხდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გადაადგილება თეატრის მთელ სივრცეში; მოითხოვს დამატებით მატერიალურ სახსრებს; საჭიროებს პროფესიონალურ კადრებს.

II ალტერნატივა – თეატრის შენობის სრული რეკონსტრუქციის შედეგად თეატრის მთელი ინფრასტრუქტურის ადაპტაცია ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ან სრულად ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მქონე ახალი შენობის აგება თეატრისთვის. ამ შემთხვევაში ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თეატრის თანამშრომელს თუ მაცურებელს თეატრის ყველა სივრცეზე სრულფასოვანი წვდომის საშუალება ეძლევა. მაცურებელთა დარბაზში ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მაცურებელს, სხვა მაცურებელთან ერთად,

თანაბარ პირობებში ყოფნა მოუხსნის იმ უხერხულობას (ერთგვარ სტიგ-მას), რომელშიც აღმოჩნდება ხოლმე მაყურებელთა დარბაზში, სპეციალურად მისთვის გამოყოფილ სივრცეებში მოთავსების დროს.

II ალტერნატივის დადებითი მხარეები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თეატრის ხელმისაწვდომობა შეესაბამება სტანდარტებს; თეატრის თანამშრომლებს ექნებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან სწორი ურთიერთობის უნარ-ჩვევები; თეატრის შემოქმედებითი პროდუქცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიეწოდებათ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით; გაიზრდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირებულობა თეატრში მათთვის მისადაგებული სერვისების შესახებ.

უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯები – არსებული შენობების ინფრასტრუქტურის სრული ადაპტირება მოითხოვს დაახლოებით 200000-600000 ლარს, თეატრების შენობების ფართობისა და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით, ხოლო ახალი შენობის აგებისთვის საჭირო ფულადი რესურსი, ასევე თეატრის საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, რამდენიმე მილიონ ლარს აღწევს; მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ალტერნატივის განხორციელების ვადა, რაც 3-დან 5 წლამდე მერყეობს; მესამე ფაქტორია პროფესიონალ კადრების სიმწირე.

III ალტერნატივა – იძულებითი სტატუსკვოს შენარჩუნება თეატრში. არსებობს რამდენიმე ობიექტური ფაქტორი, რომლებიც ხელს უშლიან არსებითი რეკონსტრუქციის ჩატარებას. აქედან უმთავრესია შემდეგი: შენობას არ აქვს შესაბამისი ტექნიკური პარამეტრები და/ან ამ შენობების ინტერიერში მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია დაუშვებელია ძეგლის სტატუსის გამო. ეტლით მოსარგებლებისთვის ასეთ შენობებში არის დახრილი ასასვლელი თეატრში, ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პანდუსის მიდგმა. გადაადგილება მაყურებელთა დარბაზში შესაძლებელია. სპექტაკლის დროს ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მაყურებელს სვამენ სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში (მაგალითად, ლოჯაში) ან გამყოფი რიგის წინ ან რიგების გასასვლელებში. სხვა საჭირო სივრცეზე სრულფასოვანი წვდომა მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ ალტერნატივას აქვს შემდეგი დადებითი მხარეები: თეატრის თანამშრომლებს ექნებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან სწორი ურთიერთობის უნარ-ჩვევები; თეატრის შემოქმედებითი პროდუქცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიეწოდებათ ალტერნატიული გზით – კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით; გაიზრდება შეზ-

ლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირებულობა თეატრში მათთვის მისადაგებული სერვისების შესახებ. უარყოფითი მხარეები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თეატრის ხელმისაწვდომობა არაკომფორტულია; რჩება სტიგმატიზების მნიშვნელოვანი ასპექტები; საჭიროებს პროფესიონალ კადრებს; III ალტერნატივის შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თეატრის ხელმისაწვდომობის დაკმაყოფილების ხარისხი ძალიან დაბალია.



სამივე ალტერნატიული ვარიანტი ითვალისწინებს თეატრის თანამშრომელთა მომზადებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან ურთიერთობისათვის; თეატრის შემოქმედებითი პროდუქციის (სპექტაკლი, სადამო, კონცერტი, გამოფენა და ა.შ.) მიწოდებას კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით (პირდაპირი ტრანსლაცია ინტერნეტით) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირებას მათთვის შესაბამისი სერვისების თეატრში არსებობის შესახებ.

დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვის გარდა, სამივე ალტერნატივა შეფასდა ეფექტიანობის მულტიფაქტორული ანალიზის საშუალებით.

ცხრილი. ეფექტიანობის მულტიფაქტორული ანალიზის შედეგები.

კრიტერიუმები	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაცია სოციალურ სფეროში	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თეატრის ხელმისაწვდომობის უზღვევის აღსრულების ეფექტიანი განხორციელება	თეატრში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმება	დანახარჯების ოდენობა	განხორციელების ვადა	სულ
კრიტერიუმის წონა	20%	20%	20%	5%	20%	15%	100%
1 ალტერნატივა	5	5	4	5	4	4	
1-5 ქულა	$5 \times 2,0 = 10$	$5 \times 2,0 = 10$	$4 \times 2,0 = 8$	$5 \times 0,5 = 2,5$	$4 \times 2,0 = 8$	$4 \times 1,5 = 6$	44,5
2 ალტერნატივა	4	4	3	2	3	2	
1-5 ქულა	$4 \times 2,0 = 8$	$4 \times 2,0 = 8$	$3 \times 2,0 = 6$	$4 \times 0,5 = 2$	$3 \times 2,0 = 6$	$2 \times 1,5 = 3$	33
3 ალტერნატივა	3	3	1	1	2	1	
1-5 ქულა	$3 \times 2,0 = 6$	$3 \times 2,0 = 6$	$1 \times 2,0 = 2$	$1 \times 0,5 = 0,5$	$2 \times 2,0 = 4$	$1 \times 1,5 = 1,5$	20

ეფექტიანობის მულტიფაქტორულ ანალიზში ალტერნატივების შეფასების მიზნით კრიტერიუმებს წონა მივანიჭეთ მნიშვნელობის მიხედვით. 5-ქულიანი სისტემით შევაფასეთ ალტერნატივის კრიტერიუმთან შესაბამისობა – რამდენად აკმაყოფილებს ალტერნატივა განსაზღვრულ კრიტერიუმს. საბოლოოდ, ქულა, რომელიც თითოეულმა ალტერნატივამ მიიღო კრიტერიუმების მიხედვით, გამრავლდა მოცემული კრიტერიუმის წონაზე. შედეგები შევკრიბეთ და საუკეთესო ალტერნატივა (მაღალი ქულის ალტერნატივა) ამ გზით გამოვლინდა.

I რეკომენდაციები

გამოიკვეთა, რომ I ალტერნატივა, რაც გულისხმობს თეატრის შიდა სივრცის ინფრასტრუქტურის არასრული ცვლილების შესაძლებლობის პირობებში თეატრის შენობის მაქსიმალურად მორგებას ეტლით მოსარგებლებებისთვის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, დანარჩენ ორთან შედარებით, მაღალი შეფასებით და, შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თეატრის ხელმისაწვდომობის დაკმაყოფილების ოპტიმალური ხარისხით გამოირჩევა. მატერიალური, ადამიანური და დროითი რესურსების დაზოგვით ალტერნატივის უპირატესობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია ხარჯთეფექტიანობა და განხორციელების მოკლე ვადა იმ ობიექტურ რეალობაში, რაც საქართველოს თეატრების უმეტეს ნაწილს აქვს. ამდენად, დასახული მიზნის მიღწევისთვის რეკომენდაციას ვუწევთ I ალტერნატივის განხორციელებას.

ალტერნატივის პრაქტიკაში განხორციელებისთვის მიზანშეწონილია:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს პარლამენტის განათლების მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშაონ ერთიანი სამოქმედო გეგმა; სამოქმედო გეგმის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკა;
- სამუშაო ჯგუფის შექმნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, კვლევითი და მეთოდური ცენტრების წარმომადგენელთა და ექსპერტთა შემადგენლობით;

- დაფინანსების ქმედითი მექანიზმების განსაზღვრა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების, მიზნობრივი ფონდებისა და საერთაშორისო დონორების სახსრების ინტეგრირებით;
- თეატრების თანამშრომელთა მომზადების მიზნობრივი პროგრამების შექმნა და დანერგვა;
- პარტნიორობის გაღრმავება ყველა დაინტერესებულ სტრუქტურასთან;
- ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის წარმართვა საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირების მიზნით;
- მონიტორინგისა და შეფასების მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება: შეფასების ინდიკატორების შესრულების პერიოდული მონიტორინგი უფლებამოსილი უწყების მხრიდან.

I დასკვნა

ჩვენი პოლიტიკის დოკუმენტის მთავარი მიზანი იყო მოძრაობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის თეატრის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ეფექტიანი გზების მოძიება და შეთავაზება ყველა იმ სტრუქტურისა და დაწესებულებისთვის, ვის კომპეტენციაშიც შედის ამ საკითხის გადწყვეტა. სწორედ ამიტომ ამოვიჩინეთ საუკეთესო ვარიანტად I ალტერნატივა, რომლის რეალიზება ყველაზე ოპტიმალურად იძლევა დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. ამისათვის კი აუცილებელია გადწყვეტილებების მიმღებ პირთა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, მასში შესაბამისი გამოცდილების მქონე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა მიწვევით. ამ პრინციპის დაცვა დააჩქარებს ურთიერთშეჯერებული მოსაზრებების ჩამოყალიბებას სამოქმედო გეგმის შემადგენელ ნაწილებად და გააიოლებს მათ პრაქტიკულ განხორციელებას. სპეციალური პროგრამით მომზადებული თეატრების თანამშრომლები სამსახურებრივ საქმიანობას შეასრულებენ გაცნობიერებულად და მოტივირებულად, რის გარეშეც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შეუძლებელი იქნება ადაპტირებული ინფრასტრუქტურით სრულფასოვანი სარგებლობა. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინირებული ჩართულობა ხელს შეუწყობს როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის სინქრონიზაციას საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე საკანონმდებლო აქტებისა და სხვა დოკუმენტების მოთხოვნათა აღსრულების მექანიზმების დახვეწას.

I ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კანონი კულტურის შესახებ: www.matsne.gov.ge/ka/document/view/31402;
2. საქართველოს მთავრობის 06/01/2014 წ. №41 დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე: w.matsne.gov.ge/ka/document/view/2186893;
3. საქართველოს მთავრობის 20/01/2014 წ. №76 დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ: www.atipfund.gov.ge/res/docs/shshmp-2014-2016-gegma.pdf;
4. UN Convention on the Rights of Persons with Disabilities (CRPD): www.un.org/development/desa/disabilities/convention-on-the-rights-of-persons-with-disabilities.html
5. CRPD work by the Commission (UN): www.equalityhumanrights.com/en/our-human-rights-work/monitoring-and-promoting-un-treaties/un-convention-rights-persons-disabilities
6. Accessibility and Development: environmental accessibility and its implications for inclusive, sustainable and equitable development for all (UN): www.un.org/disabilities/documents/accessibility_and_development_june2013.pdf
